

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 00 77 95

N 260
27/06/2017

260-07-3-201706271246



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 26 ივნისს მოწვეულ იქნა საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი 7-8 (რვა) ფურცელი

პატივისცემით,

ელგუჯა ჩხაიძე

ფრაქციის თავმჯდომარე

ფრაქცია "ლანჩხუთი-ევრო ატლანტიკური მომავლისათვის"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია
„ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“
სხდომის ოქმი №7

ქ.ლანჩხუთი

26.06.2017 წელი
12:00 საათი

სხდომას ესწრებოდა ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე.

ფრაქციის წევრები: გიორგი გოგუაძე, კახაბერ ასკურავა.

მოწვეული პირები: გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, გამგეობის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ელიკო იმნაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მათა კუპატაძე.

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი ელგუჯა ჩხაიძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი ელგუჯა ჩხაიძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის სერვისი“ - სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი ელგუჯა ჩხაიძე/

4. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი“-სთვის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

5. სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ფრაქციის სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების თანახმად, საჯარო დაწესებულებებში მიმდინარეობს შტატების გარდაქმნა, რაც იმას ნიშნავს, რომ საკრებულოს აპარატში დასაქმებული პირები უნდა გახდნენ ან პროფესიული საჯარო მოხელეები ან შტატგარეშე მოსამსახურეები. უნდა მოხდეს დღეის მდგომარეობით აპარატში დასაქმებული შტატისანი და შტატგარეშე თანამშრომლების გადალაგება მოხელეებად და შრომითი ხელშეკრულებით (შტატგარეშეებად) დასაქმებულებად. მან აღნიშნა, რომ ახალ რანგირების სისტემაზე მორგების მიზნით, დღეს წარმოდგენილ საშტატო ნუსხის მიხედვით საკრებულოს აპარატში სულ შტატით იქნება 17 თანამდებობა, ხოლო შრომითი ხელშეკრულებით იქნება 5 თანამშრომელი (მდივნები, მძღოლი, კომპიუტერული მომსახურების დარგში სპეციალისტი, დამლაგებელი). აქვე აღსანიშნავია, რომ საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციით ტექნიკური პერსონალი, ესე იგი მხოლოდ ტექნიკური ფუნქციების განმახორციელებელი თანამდებობები უნდა გადავიდნენ შრომითი ხელშეკრულებით. მან აღნიშნა, რომ ცვლილება განპირობებულია „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც საჯარო დაწესებულებებს დაევალოთ 2017 წლის 1 ივლისამდე შტატების დასახელებებში ცვლილება და მათი იერარქიულ რანგებში განაწილება.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საშტატო ნუსხაში მეორე რანგის წარმომადგენელს უფრო დაბალი ხელფასი აქვს, ვიდრე მესამე რანგს, რაზეც რომან ბიწაძემ განმარტა, რომ მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტის დაკორექტირება და საკრებულოს თანაშემწე გადავა ხელშეკრულებით. დეპუტატი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა საკრებულოს რატომ აქვს მე-4 რანგი, რაზეც რომან ბიწაძემ განმარტა, რომ სპეციალისტი მოიცავს მეოთხე რანგს.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

ფრაქციის წევრების მიერ დადგენილების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნის გათვალისწინებით. ფრაქციის თავმჯდომარემ, ელგუჯა ჩხაიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა ელიკო იმნაძემ. მან აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონი 1 ივლისიდან შედის ძალაში. საჯარო სამსახურში ახალი კანონი ბევრ ფუნდამენტურ ცვლილებებს ითვალისწინებს. ერთ-ერთი მთავარი რაც ამ ეტაპისათვის ხორციელდება თანამშრომელთა სტატუსის რანგირებაა. მისი განმარტებით რანგირება შეეხება თანამდებობრივ სახელწოდებებს და ამ ეტაპზე სახელფასო ცვლილებები არ ხორციელდება ანუ საფინანსო თვალსაზრისით თანამშრომლები რჩება იგივე ხელფასის ოდენობაზე და მათი ხელფასის რაოდენობა არ იცვლება, თუმცა შრომის ანაზღაურების შესახებ ახალი კანონი საჯარო სამსახურში არ არის მიღებული და ამ კანონის მიღების შემდეგ ბიუჯეტიდან გამომდინარე იგეგმება სახელფასო ცვლილებები. მან აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალმა კანონმა 4 რანგი წარმოადგინა.

-პირველი რანგი ეს არის სამსახურის უფროსი და მას პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ეწოდება. გამგეობაში 9 (ცხრა) პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელია.

-მეორე რანგია განყოფილების უფროსი და მას მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ჰქვია. სულ ასეთი 16 განყოფილების უფროსია გამგეობაში.

-მესამე რანგში არის მთავარი სპეციალისტი, წამყვანი სპეციალისტი და სპეციალისტი. კერძოდ, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მთ.სპეციალისტი)

მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (წამყვანი სპეციალისტი)

მისი განმარტებით მეოთხე რანგის სპეციალისტი სამუშაო აღწერილობითა და ფუნქციური თვალსაზრისით არის სპეციალისტი, რომელიც მექანიკურ სამუშაოებს ასრულებს, დაბალი პასუხისმგებლობის მქონე მოხელე. მაგალითად, მას შეიძლება დავალებული ქონდეს დიდი მოცულობით დოკუმენტაციის დაქსეროქსება. შტატებიდან შტატგარეშედ გაყვანილი იქნა 47 თანამშრომელი. ესენია: ტექნიკური პერსონალი, სამი მძღოლი, მდივანი, გამგებლის ორი თანამშემწე, დამხმარე მოსამსახურე, 16 გამგებლის წარმომადგენელი და სოფლის 24 სპეციალისტი. 3 შტატგარეშე გადაგვყავს შტატში. მისი განმარტებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონმა განსაზღვრა პროფესიული საჯარო მოხელე ვინ შეიძლება იყოს და ვინ შტატგარეშედ დასაქმებული პირი. პროფესიული საჯარო მოხელის სტატუსს ღებულობენ ის საჯარო მოხელეები, რომლებმაც გაიარეს კონკურსი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს არის უვადოთ დასაქმებული საჯარო მოხელე. ამიტომ ასეთი მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ხოლო რაც შეეხება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს, ეს არის ადამიანი, რომელიც მუნიციპალიტეტისათვის არამუდმივ ამოცანებს ასრულებს. მან აღნიშნა, რომ 16 ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებელს ჰყავს წარმომადგენელი, თუმცა შეიძლება, რომ რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებელს ჰყავდეს ერთი წამომადგენელი. რაც შეეხება მათ ფუნქციურ დატვირთვას ეს განსაზღვრულია გამგეობის დებულებით. გამგეობის დებულებაში, მის სამუშაო აღწერილობაში განსაზღვრულია ის ფუნქციები, რაც მათ ეკისრებათ. ეს ძირითადად არის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ადგილზე ჩატანა, სოფელში არსებული პრობლემების ინფორმირება ხელმძღვანელობისათვის და ფაქტობრივ გარემოებათა შესახებ

ხელმძღვანელების ინფორმირება. მათი ხელფასის ოდენობა 900 ლარს შეადგენს, ანუ ჩაითვალა, რომ ეს არის პირი, რომელსაც ჰქვია გამგებლის წარმომადგენელი და რომელიც გამგებლის უფლებამოსილების ვადით უნდა მუშაობდეს. მან ასევე აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში ფუნდამენტურად შეიცვალა კონკურსის ჩატარების წესი. დღეს მიღებული კანონის თანახმად ეს უფლება გადაეცა საჯარო სამსახურის ბიუროს. ექვს თვეში ერთხელ ის აუცილებლად აცხადებს კონკურსს, მოქალაქე მიდის, ღებულობს მონაწილეობას, იღებს სერთიფიკატს და შემდეგ ცხადდება ადგილობრივ თვითმმართველობაში. საბოლოო გადაწყვეტილებას ის არსებულ ვაკანსიაზე დასაქმებული იყოს თუ არა მუნიციპალიტეტი ღებულობს. შიდა კონკურსი ცხადდება, როდესაც საუბარი არის პირველი, მეორე და მესამე რანგის პირებზე. მეოთხე რანგი არის გახსნილი ღია კონკურსი, რომელიც მთელი ქვეყნის მაშტაბით ცხადდება. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში შედის ასევე საკლასო ჩინი. ეს არის შეფასების სისტემა, რომელიც წელიწადში ერთხელ წლის ბოლოს ტარდება. მისი განმარტებით ეს საკმაოდ რთული პროცედურაა. სამსახურის უფროსი აფასებს განყოფილების უფროსებს, ხოლო განყოფილების უფროსი აფასებს თავის თანამშრომელს. შეფასების ოთხი დონე არსებობს. თუ ხელმძღვანელი და თანამშრომელი ვერ შეთანხმდება შეფასებაზე, ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტში შექმნილია სპეციალური კომისია, სადაც შეიძლება განხილულ იქნეს ეს სადაო საკითხი. თუ საჯარო მოხელე ორჯერ უარყოფით შეფასებას მიიღებს ავტომატურად იწერება ბრძანება მისი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე.

დეპუტატი კახაბერ ასკურავა დაინტერესდა კანონი აძლევს თუ არა უფლებას სამსახურის უფროსს ჰყავდეს მოადგილე, რაზეც ელიკო იმნაძემ განაცხადა, რომ საჯარო კანონი იძლევა ამის საშუალებას, მათ პირველი სტრუქტურული ერთეულის მოადგილე ეწოდებათ და მეორე რანგს მიეკუთვნებიან.

დეპუტატმა კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ სამსახურის უფროსები პროფესიულ მოხელეებად არ უნდა იქნას გადაყვანილი, ისინი გამგებლის წასვლასთან ერთად უნდა მიდიოდნენ.

ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ აღნიშნა, რომ გამგებელი არჩევნების დროს სამსახურის უფროსებს რთავს საარჩევნო კომპანიაში და როცა ახალი მთავრობა მოდის უნდა მოხდეს მათი შეცვლა.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ არჩევნების დროს სამსახურის უფროსები გადიან შვებულებაში და მათ კანონის შესაბამისად სრული უფლება აქვთ სამსახურის საათების შემდეგ ჩაერთოს არჩევნების წინასწარ ღონისძიებებში. დეპუტატი ეთანხმება, რომ გამგებელთან ერთად უნდა წავიდეს სამსახურის უფროსები. დეპუტატი დაინტერესდა თუ სამსახურის უფროსის განათლება არ შეესაბამება რანგს ამას ვინ საზღვრავს, რაზეც ელიკო იმნაძემ განაცხადა, რომ ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით ხდება სამსახურის უფროსის დანიშვნა, ხოლო თუ მოხდება მათი პროფესიულ მოხელეებად დანიშვნა, ისინი გაივლიან კონკურსს და შემდეგ მოხდება დანიშვნა.

დეპუტატი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა, ხელმძღვანელს რის საფუძველზე შეეძლება სამსახურის უფროსის შეცვლა მაშინ თუ ის ნაკლებად განათლებული იქნება, ვიდრე მასზე დაქვემდებარებული განყოფილების უფროსი, რაზეც ელიკო იმნაძემ განმარტა, რომ ხელმძღვანელმა უნდა დადოს დასაბუთებული დოკუმენტაცია არსებულის შესახებ, რაც ხდება შეფასების სისტემის საფუძველზე. მან ასევე აღნიშნა, რომ ერთი და იგივე რანგის თანამშრომლებს შესაძლებელია სხვადასხვა ანაზღაურება ჰქონდეს მათი სამსახურებრივი დატვირთვიდან გამომდინარე.

დეპუტატი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა ბიუჯეტში გაჩნდება თუ არა დამატებითი თანხა, რაზეც ელიკო იმნაძემ აღნიშნა, რომ შეიმუშავა შესაბამის სამსახურთან ერთად სავარაუდო თანხა, რომელიც აისახება ბიუჯეტში.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

ფრაქციის წევრების მიერ დადგენილების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნის გათვალისწინებით. ფრაქციის თავმჯდომარემ, ელგუჯა ჩხაიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრეპ, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის სერვისი“ - სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ფრაქციის სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული 2017 წლის 31 მარტის №66 ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე შედგენილი მიღება- ჩაბარების აქტის თანახმად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაეცა 2 (ორი) ცალი კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანა. აღნიშნული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით უნდა გადაეცეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ, დაფუძნებულ ა (ა)იპ „ლანჩხუთის სერვისი“-ს, ვინაიდან მას აღნიშნული ნაგავმზიდები ესაჭიროება მისთვის წესდებით განსაზღვრული ფუნქციების განსახორციელებლად.

დეპუტატი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა აღნიშნული მანქანები მუშაობს თუ არა დღეის მდგომარეობით, რაზეც გიორგი ფაცურამ აღნიშნა, რომ როგორც მისთვის ცნობილია მანქანებს ესაჭიროება ძვირადღირებული ზეთი, რაზეც ა(ა)იპ „ლანჩხუთი-სერვისის“ ხელმძღვანელი თენგიზ ჭიჭილეიშვილი აცხადებს, რომ აღნიშნულ ხარჯებს ვერ გაუმკლავდება ა(ა)იპ-ი.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ურნების დამატება უპრიანი იქნებოდა ა(ა)იპ-ისათვის , არსებული მანქანებით შეძლებდნენ მომსახურებას.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

ფრაქციის წევრების მიერ განკარგულების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე. ფრაქციის თავმჯდომარემ, ელგუჯა ჩხაიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრეპ, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე:„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი“-სთვის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ფრაქციის სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ აზიული ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების საწარმოებლად, სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული

სააგენტოს თავმჯდომარის 08.06.2017 წლის №1/1-1278 ბრძანების საფუძველზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებითი ქონების სახით გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 2647 ლიტრი ინსექტიციდი ზონდერი, ზურგსაკიდი შემასხურებელი აგრეგატი(61 ცალი), დამცავი კომბინიზონი (854 ცალი), რესპირატორი (122 ცალი), დამცავი ხელთათმანი (244 ცალი), დამცავი სათვალე (122 ცალი), ხმაურის ჩამხშობი (ყურის საცობი) (366 ცალი), ორტაქტიანი ძრავის ზეთი (160 ლიტრი). აღნიშნული უნდა გადაეცეს ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრს, ვინაიდან სწორედ მან უნდა განახორციელოს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები.

ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ახლახანს დაიწყო აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ღონისძიებები, რის შედეგადაც მოწამლულია რამდენიმე ადამიანი, მათ შორის ბავშვიც, ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნიგოთში ოპერატორს გადაესხა წამალი.

დეპუტატმა კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ აღნიშნული ადგილიდან გაყვანილი უნდა იქნას ბავშვები, ორსულები და რისკფაქტორის მატარებელი ადამიანები. მისთვის წარმოუდგენელია იმ ადამიანმა მოახდინოს სწორად დოზირება ვისაც წამალი ესხმება თავზე.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ გამგეობის შენობა არ შეესაბამება სტანდარტებს, სადაც უნდა იყოს განთავსებული აღნიშნული წამლები.

გოგი ფაცურიამ აღნიშნა, რომ მოწამვლის შემდეგ 24 საათის მანძილზე არ უნდა იწვიმოს, ვინაიდან არ მოხდეს წამლის ჩამორეცხვა და ჭებში, წყლის მილებში წამლის მოხვედრა, რაც გამოიწვევს მოსახლეობის მოწამვლას, რაც მისი თქმით არაა დაცული აღნიშნული ორგანიზაციის მიერ.

დეპუტატ გიორგი გოგუაძეს მიაჩნია, რომ ა(ა)იპ-ის დირექტორმა გელა ზოიძემ საკრებულოს სხდომაზე უნდა გააკეთოს ინფორმაცია აღნიშნულზე.

სხვადასხვა

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ხელაძის განცხადებით საგზაო დეპარტამენტი საგზაო ნიშნებს მოაწესრიგებდა 5 ივნისამდე, ხოლო მუნიციპალიტეტი თვის ბოლომდე, მაგრამ დღემდე დაუხაზავია პარკირების ადგილი., რაზეც გიორგი ფაცურიამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს თანხა არა აქვს ჯერ გამოყოფილი. დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ თანხის არარსებობა არაა გასასამართლებელი, ვინაიდან საგზაო დეპარტამენტის უფროსთან შეხვედრისას კვარაცხელიამ აღნიშნა, რომ საგზაო დეპარტამენტი დახაზავდა და დააყენებდა საგზაო ნიშნებს, ხოლო მუნიციპალიტეტი მოგვიანებით გადაურიცხავდა თანხას.

რომან ბიწაძემ აღნიშნა, რომ მხედის წერილი დაეწერა, რომელიც ა(ა)იპ-ი საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთი გურიას“ შპს-დ გადაკეთებას ითხოვს, რომ მერაბ ჟორდანიას მოვიდეს, მისი თქმით ეს საკრებულოს პრეროგატივა არაა, ა(ა)იპ-ი შექმნილია გამგებლის მიერ.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით შპს „ლანჩხუთი გურიას“ შექმნა სურთ და ამ სახელით გავა ის თამაშებზე, ის არ ითხოვს ბაზას, სტადიონს, მხოლოდ გუნდს, ასევე მათ ჰქონდათ მოლაპარაკება ფედერაციასთან. ფედერაციის მიერ თანხის გადარიცხვა მოხდება შპს-ზე.

დეპუტატ კახაბერ ასკურავას განმარტებით შპს-ს სრული უფლება აქვს გააფორმოს ხელშეკრულება ა(ა)იპ-სთან და მისი სერვისი იყიდოს.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ დასადგენია ბოლო ხუთი წლის მანძილზე რა დაუჯდა მუნიციპალიტეტს ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთი გურიას“ ხელმძღვანელობის შენახვა, მისი ვარაუდით თუ გუნდი ა(ა)იპ-ს დარჩება დავალიანება კიდევ უფრო გაიზრდება, ამიტომ მას მიზანშეწონილად მიაჩნია, გუნდს უხელმძღვანელოს შპს-მ, ხოლო აიპ-ის მიერ მოხდეს ბაზის და სტადიონის გაქირავება, რითაც შეძლებს ვალების გასტუმრებას.

ამით ფრაქციამ მუშაობა დაასრულა.



საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური
მომავლისათვის“ თავმჯდომარე:

ელგუჯა ჩხაიძე



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ ლანჩხუთი ევროატლანტიკური
მომავლისათვის" წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

26 ივნისს 2017 წელი
12.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ელგუჯა ჩხაიძე	11 30	
2	გიორგი გოგუაძე	11 45	
3	კახაბერ ასკურავა	